ხელშეკრულება № 3

გორი	„ 05 „ აპრილი 2013 წ.

ერთის გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების № 12 სანავარო ბაღი (შემდგომში-შემსყიდველის), წარმოდგენილი მისი დირექტორის ელენე დავითაშვილის სახით და მეორეს მხრივ ი.მ. ვახტანგ ტლაშაძე (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ხილ-ბოსტნეულითა და ნახევარ-ფაბრიკატებით მომარაგება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია სასაქონლო ზედნადებში ან/და მითითება ჩაბარების აქტში, რომელიც წარმოადგენილი იქნება შესყიდვის დროს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება ძალადგენს სასაქონლო ზედნადების ან/და შესყიდვის აქტის შედეგად მირებულ საქონლის ღირებულების ეროვნულ ვალუტაში.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მესყიდველსა და მიმწოდებელთან დაკავშირებულ ანაზღაურებას, საჭიროებისა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მირება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს მემსყიდველს საჭიროებისა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს მემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება ხდება ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა.

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ეტაპობრივად მემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10(ათი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯით, მიმწოდებლის მისამართზე ქ. გორი, ჯორბენაძის 37

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს მემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯერეულად, კეთილსინდისიერად დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს მემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და საათანადო შეფუთული, საქონელი.

გ) მემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლისა ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება მემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.;

მუხლი 6. პირგასამტეხლო.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო: ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით. ხოლო ვალდებულებების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში- ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია სრულყოფილად ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3 ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებების, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ოთხდღისა კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ძალის დადგომის და დასრულების შესახებ ჩინაალმდგენ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ კათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის მოსკვლომი წარმოდგენით.

10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა.

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებლთან, ორი შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულები მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 ორივე მხარე არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკებით

14.3

მიმწოდებელი	შემსყიდველი
ი.მ. ვახტანგ ტლაშაძე	
მისამართი	გორის #12 საბავშო ბაღი
მისამართი: გორი, ჯორჯენაძის ქ #37	გორი, ამილახვრის 6
საიდენტიფიკაციო კოდი: 59001068223	საიდენტიფიკაციო კოდი: 218078201
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
პროკრედიტ ბანკი –გორის ფილიალი	ლიბერთი ბანკის გორის ფილიალი
ანგარიშსწორების ანგარიში : №GE60 PC 0143 6001 0002 9592	ანგარიშსწორების ანგარიში : GE29 LB0120158200634000
მფლობელი ვ. ტლაშაძე	დირექტორი ს.დავითაშვილი